ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 17.02.2015წ. N32 განკარგულებით ქალაქი თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ორხევის ხიდის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე შერეული ფუნქციის საზოგადოებრივ–საწარმო შენობა–ნაგებობების პროექტის დასამუშავებლად გაცემულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების განხორციელების შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს **2016 წლის 21 დეკემბერს NAR1465613** განცხადებით მომართა დურმიშხან მიხეილიძემ და მოითხოვა ქალაქი თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ორხევის ხიდის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე შერეული ფუნქციის საზოგადოებრივ–საწარმო შენობა–ნაგებობების პროექტის დასამუშავებლად გაცემულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების განხორციელება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, მოქ. დურმიშხან მიხეილიძის **AR1281404 (26.01.15წ.)** განცხადების საფუძველზე, ქალაქი თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ორხევის ხიდის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე შერეული ფუნქციის საზოგადოებრივ–საწარმო შენობა–ნაგებობების პროექტის დასამუშავებლად დამკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიეტის საკრებულოს **17.02.2015წ. N32** განკარგულებით განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალება.

17.02.2015წ. N32 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების განხორციელების საკითხი განხილულ იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო"–ს **#2 (12.01.2017**) სხდომაზე, სადაც დაფიქსირდა დადებითი რეკომენდაცია ცვლილების განხორციელების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

„ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 23–ე მუხლის 4' პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმას, საბჭოს დასკვნის საფუძველზე, ამტკიცებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო. შესაბამისად, **2016 წლის 21 დეკემბრის NAR1465613** განაცხადი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომაზე, რომელზეც საკითხს მიეცა ზემოაღნიშნული **17.02.2015წ. N32** განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების განხორციელების რეკომენდაცია **#2(12.01.2017**).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე, მე-100 მუხლების, მე-6 თავის და ,,განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 23–ე მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება **17.02.2015წ. N32** განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში;

2. საპროექტო არეალში შემავალ საკადასტრო ერთეულებად დაფიქსირდეს: ##01.19.24.001.001. 01.19.24.002.009. 01.19.22.001.011. 01.19.24.003.017. 01.19.24.003.018. 01.19.24.003.043. 01.19.24.003.044);
3. მრავალფუნქციური კომპლექსის ფუნქციების ჩამონათვალში დაემატოს საცხოვრებელი ფუნქცია და დაფიქსირდეს შერეული ფუნქციის საზოგადოებრივ–საწარმო, საცხოვრებელი შენობა–ნაგებობები;
4. გათვალისწინებული იქნეს "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" სხდომაზე გათვალისწინებული შენიშვნები და რეკომენდაციები;
5. საპროექტო ტერიტორიის ნაწილი მდებარეობს ეგხ „თონეთი" და ეგხ"ავჭალა 102"-ის დაცვის ზოლში, გამომდინარე აქედან წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი თანხმობა, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისგან მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების მიზანშეწონილობაზე;
6. საპროექტო ტერიტორიის ნაწილი მდებარეობს მაგისტრალური გაზსადენის შეზღუდვაში გამომდინარე აქედან წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი თანხმობა საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიდან;
7. წარმოდგენილ და დაცული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის პოზიცია (თანდართული სქემით) არსებულ ხეების სასიცოცხლო უნარების შენარჩუნებისთვის აუცილებელი გასხვისების არეალების დატანით;
8. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიაში შემავალი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა თანხმობები;
9. წინამდებარე აქტის გასაჩივრება შესაძლებელია ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგიალიბეგაშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 15

“3” თებერვალი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის №32 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე” ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ” ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლის, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 12 იანვრის №2 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 26 იანვრის №04/1206 წერილის (AR1465613) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილი იქნას ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის №32 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში და საპროექტო არეალში დაფიქსირდეს საკადასტრო ერთეულები: №01.19.24.001.001; №01.19.24.002.009; №01.19.22.001.011; №01.19.24.003.017; №01.19.24.003.018; №01.19.24.003.043; №01.19.24.003.044. მრავალფუნქციური კომპლექსის ჩამონათვალს დაემატოს საცხოვრებელი ფუნქცია და დაფიქსირდეს შერეული ფუნქციის საზოგადოებრივი საწარმო, საცხოვრებელი შენობა–ნაგებობები.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი
№2

ქ.თბილისი: 12.01.2017 წ

სხდომის დაწყების დრო: 12:00
დამთავრების დრო: 18:00

საბჭოს თავმჯდომარე: ზურაბ წიკლაური
საბჭოს აღმასრულებელი მდივანი: ზვიად ელიზბარაშვილი

კომისიის წევრები: ნატო ქიტიაშვილი, გოჩა ბაბუნაშვილი, მალხაზ მჭედლიშვილი, ნუგზარ ხვედელიანი, ირაკლი ჩირაძე, მალხაზ ჭამპურიძე, ნინო ფარცხალაძე, გიორგი მახარაშვილი, იოსებ ქარცივაძე, ალექსანდრე ჯობავა.

მოწვეულები: არჩილ ყარასაშვილი. ამირან კოპალიანი. დიმიტრი ესიავა. სოსო ესიავა. თამაზი თოდუა. აშოტ არაქელოვი. მაია შარაშენიძე. ბესიკ მელიქიძე. გაიანე ხმალაძე. ლუკა გოგლიძე. რგი ბერეკაშვილი.ნინო ნაპირელი. ლევან ჩალაძე. ბექა ბოჭორიშვილი. კოტე ამაღლობელი. ირაკლი ფორჩხიძე. თამაზ გამყრელიძე. ბესიკ ახალაძე. გოჩა კახიანი. მამუკა კაპანაძე. მამუკა ტუსკაძე. ლარისა სარდლიშვილი. მიხეილ ელიკაშვილი. მანანა უცუნაშვილი. თორნიკე ადეიშვილი. ვასილ მეტონიძე. სპარტაკ მელიქიშვილი რევაზ ტყემალაძე კირილე მორჩილაძე. ჯამბული ქათამაძე. მალხაზ მღებრიშვილი.ნინო გოქსაძე.ლევან ბანძელაძე. ლევან ოქროპირიძე.ნიკოლოზ ბულეიშვილი. სეხნიაშვილი ნინო. ზაზა მიხელიძე. გიორქიანი გოგი. აკაკი ზერეკიძე. გიორგი კაჭარავა. ნუგზარ კაციტაძე. არჩილ ლომთათიძე. მღვდელაძე. ლომიძე. დავით ტატანაშვილი. იური გუდაძე. გოჩა ღვინიაშვილი. კაპანაძე გიორგი. ვახიდ შარიფოვი. შალვა ობოლაშვილი. გიორგი ხმალაძე. დავით შავერდაშვილი. ზურაბ ლოლაშვილი. იგორ დავითიანი. ნინო ყავლაშვილი. ალექსანდრე ავდოიანი თემური ჭრიკიშვილი. გივი კახაბრიშვილი. არდაშელია აპოლონ. გურგენიძე გიორგი. გაბრიელ გურგენიძე. კონსტანტინე ღვინჯილია. მალხაზ გაბედავა. არჩილ მიკუჩაძე. ზურაბ ახალაია. ტატიანა გელოვანი. ია ქვათაძე. ცინცქილაძე ნადილი. ლუდმილა ჩიქოვანი. ანა მამულაშვილი. გიორგი კირკიტაძე.ანზორ მამალაძე. აკაკი კარიჭაშვილი. რობინზონ პაპიძე.

ზონალური საბჭოს გადაწყვეტილება

განაცხადი №AR1464205

თარიღი : 23.12.2016

არსებული ფუნქციური ზონა: ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა.

განმცხადებელი: ანიკო ბაქრაძე პ/ნ: 01015022892

ობიექტის მისამართი: გორგასალის 115 –ის მიმდებარე ტერიტორია.;

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

საქმის წარმოების განყოფილება №3

კომისიის წევრი: უარყოფა

- აქტიური გამწვანებაა.

კომისიის წევრი: უარყოფა

მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 30 მარტის #1696 ბრძანებაში ცვლილების შესახებ. კერძოდ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) დაკლების შესახებ. (არსებული კ2=9,4, მოთხოვნილი კ2=9,2) .

ზონალური საბჭოს გადაწყვეტილება

განაცხადი №AR1465613

თარიღი : 21.12.2016

განმცხადებელი: დურმიშხანი მიხელიძე პ/ნ: 01020000188

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ეკოლოგიის ცენტრის მიმდებარედ (ნაკვეთი 01/001); ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , მიმდებარედ (ნაკვეთი 02/009); ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილსა და შსს სახავტოინსპექციის დიაგნოსტიკურ ცენტრს შორის; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , და შსს სახავტოინსპექციის დიაგნოსტიკურ ცენტრს შორის, (ნაკვ. 03/017) ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , და შსს სახავტოინსპექციის დიაგნოსტიკურ ცენტრს შორის, (ნაკვ. 03/018) ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ორხევის ხიდის მიმდებარედ , (ნაკვ. 003/021) ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ორხევის ხიდის მიმდებარედ , (ნაკვ. 003/021) ;

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

კომისიის წევრი: თანხმობა

- რეკრეაციულ ზონაში მშენებლობის გარეშე.

კომისიის წევრი: თანხმობა

- რეკრეაციულ ზონაში მშენებლობის გარეშე.

კომისიის წევრი: თანხმობა

- რეკრეაციულ ზონაში მშენებლობის გარეშე.

კომისიის წევრი: თანხმობა

- რეკრეაციული ფუნქციის შენარჩუნებით. მოსაგვარებელია ეკოლოგიის და გამწვანების სამსახურის პოზიცია. ასევე, ქონების მართვის სამსახურის თანხმობა.

კომისიის წევრი: თანხმობა

- არსებულ რზ 1-ში მშენებლობის გარეშე.

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

ქ. თბილისის მერიის საქმის წარმოების განყოფილება №3

განაცხადზე კომისიის/საბჭოს შეფასება "დადებითი"
კომისიის/საბჭოს ჩატარების თარიღი: 12.01.2017

კომისიის/საბჭოს დასკვნა - რეკომენდაცია:

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი, ეკოლოგიის ცენტრის მიმდებარედ, ქიზიყის ქუჩის მიმდებარედ, კახეთის გზატკეცილისა და შსს სახ. ავტოინსპექციის დიაგნოსტიკურ ცენტრს შორის, კახეთის გზატკეცილი, ორხევის ხიდის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: ##01.19.24.001.001. 01.19.24.002.009. 01.19.22.001.011. 01.19.24.003.017. 01.19.24.003.018. 01.19.24.003.043. 01.19.24.003.044) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანაზე.

ზონალური საბჭოს გადაწყვეტილება

განაცხადი №AR1469994

თარიღი : 11.01.2017

დადგენილი პარამეტრები: კ2=3,5.

მოთხოვნილი პარამეტრები: კ2=6,9.

განმცხადებელი: ნუგზარ კაციტაძე პ/ნ: 01024029229

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი ;

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

კომისიის წევრი: უარყოფა

- კოეფიციენტი არის გადაჭარბებული.

კომისიის წევრი: უარყოფა

- სიმჭიდროვის კოეფიციენტი არის გადაჭარბებული.

კომისიის წევრი: უარყოფა

- კოეფიციენტი არის გადაჭარბებული.

კომისიის წევრი: უარყოფა

- ინტენსივობა გადამეტებულია.

კომისიის წევრი: უარყოფა

- ინტენსივობის გაორმაგება მიუღებელია. აუცილებელია კ2-ის საგრძნობლად შემცირება.

კომისიის წევრი: უარყოფა

- ინტენსივობა გადამეტებულია.

კომისიის წევრი: უარყოფა

- შესამცირებელია ინტენსივობა.

თბილისის მერიის ქალაქგეგმარგებლობის სამსახური
საქმის წარმოების განყოფილება
№3

კომისიის/საბჭოს დასკვნა - რეკომენდაცია:

მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, II ნადიკვარის/ზერძნის ქ. #1-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: #01.18.04.020.018.01.506. 01.18.04.020.018.03.500. 01.18.04.020.018.01.002), ორბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით, ინდივიდუალური ქალაქთმშენებლობით პარამეტრების დადგენაზე.

საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ წიკლაური

საბჭოს აღმასრულებელი მდივანი ზვიად ელიზბარაშვილი